პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 აგვისტო პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 191 (14187)

ლენინის სახელით

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მზადდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, რომლის სახელთან და მოძღვრებასთან დაკავშირებულია მეოცე საუკუნის უდიდესი რევოლუციური მიღწევები, ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

ეგებებიან რა ამ დიად და ნათელ თარიღს, ჩვენი პარტია და ხალხი გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას ილიჩისადმი, ურყევ ერთგულებას ლენინის საქმისადმი, კომუნისტური მშენებლობის ლენინური გენერალური ხაზისადმი. ამ დრმა გრძნობებითა და მისწრაფებებით გამსჭვალულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. ამ გრძნობებითა და მისწრაფებებით გაცისკროვნებულია, მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მთელი მრავალეროვანი ოჯახის ცხოვრებისა და შრომის თვითეული დღე. ლენინის იდეები და ანდერძი, ლენინიზმი — რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად ცოცხალი წყარო — პარტიასა და ხალხს ანიჭებენ ძალებსა და შთაგონებას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის წარმატებით საბრძოლველად.

„არა არის რა იმაზე ამაღლებული და კეთილშობილური, ვიდრე ბაძავდე ლენინს, თავდადებულად იბრძოდე საქმისათვის, რომელსაც მან სიცოცხლე მოახმარა“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ამ გულშრფელმა სიტყვებს სიამაყით იმეორებენ დღეს კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი“. „ვიცხოვრთო, ვიშრომოთ და გავიმარჯვოთ ლენინურად, ლენინის სახელით!“ — აი დევიზი, რომელიც მუდამ გასამძღვანებელია და განსაკუთრებული ძალით გაისმის ახლა საბჭოების ქვეყანაში. იგი ცოცხლად, კონკრეტულად ისხამს ხორცს იმ უდიდეს ენთუზიაზმში, რომლითაც ჩვენი ხალხი თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, მშრომელთა ცხოვრების ნებისმიერ და კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომი განმტკიცება.

ამ დღეებში პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ, განიხილავენ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა ამას მიუძღვნა სპეციალური პლენუმი, რომელზეც განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ღონისძიებანი სახელოვანი იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით. დიდი აღფრთოვანებისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაიარა ავრეთვე პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტის პლენუმებმა.

ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების კონკრეტული გეგმები უახლოეს ხანში უნდა შეიმუშაოს თვითეულმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, ოკრუგმა, ქალაქმა, რაიონმა, თვითეულმა საწარმომ, საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ, ჯარის ნაწილებმა და ხომალდებმა. ამასთან საჭიროა გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების მდიდარი გამოცდილება.

ბევრი საწარმოს კოლექტივების ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრების დროს იბადება შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა. ამ ბოლო დღეებში, როგორც „პრავდა“ იუწყებოდა, ლენინგრადის, ილიჩის სამშობლოს — ულიანოვსკის ოლქისა და სხვა ქალაქებისა და ოლქების მშრომელებმა აკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. ეს ასახავს ხალხის სიყვარულს ლენინისადმი, მასების მაღალ აქტივობას მისი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მიესალმა რა მშრომელთა მზარდ შემოქმედებითს ინიციატივას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ, განიხილავენ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა ამას მიუძღვნა სპეციალური პლენუმი, რომელზეც განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ღონისძიებანი სახელოვანი იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით. დიდი აღფრთოვანებისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაიარა ავრეთვე პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტის პლენუმებმა.

ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების კონკრეტული გეგმები უახლოეს ხანში უნდა შეიმუშაოს თვითეულმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, ოკრუგმა, ქალაქმა, რაიონმა, თვითეულმა საწარმომ, საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ, ჯარის ნაწილებმა და ხომალდებმა. ამასთან საჭიროა გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების მდიდარი გამოცდილება.

ბევრი საწარმოს კოლექტივების ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრების დროს იბადება შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა. ამ ბოლო დღეებში, როგორც „პრავდა“ იუწყებოდა, ლენინგრადის, ილიჩის სამშობლოს — ულიანოვსკის ოლქისა და სხვა ქალაქებისა და ოლქების მშრომელებმა აკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. ეს ასახავს ხალხის სიყვარულს ლენინისადმი, მასების მაღალ აქტივობას მისი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მიესალმა რა ვავითაროთ ხალხის საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, ჩავუნერგოთ პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმ ი ს გრძნობა, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მისი მაღალი ქმედითობა, საჭიროა კვლავაც ბეჯითად სრულყოფდეთ მასებზე იდეური გავლენის ფორმებს, პროპაგანდისტულ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ვიზიდავდეთ საუკეთესო ძალებს.

პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნია შემოქმედებითად განვითაროს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია — მძლავრი იდეური იარაღი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაძლიერონ ბრძოლა ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის, უპირველოთა ფართო მასებს საფუძვლიანად შეასწავლონ დიადი ლენინური იდეური მემკვიდრეობა. ამ გზაზე პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების სანიმუშოდ დამთავრება.

დიდი ამოცანები დგას იდეოლოგიური ფრონტის ყველა რაზმისა და დაწესებულების წინაშე, მეცნიერების. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების წინაშე. საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვთ გადაშლილი საბჭოებს, პროფკავშირებს, ლენინურ კომკავშირს.

ლენინის სახელი, მისი ნათელი სახე, მთელი მისი ცხოვრება, რომელიც მოახმარა მუშათა კლასის საქმეს, რევოლუციისა და კომუნიზმის საქმეს, ახალი სამყაროს მშენებელთათვის შთაგონების წყარო გახდა.

არ არის ჩვენთვის უფრო მაღალი
მოწოდება —
ერთი რამ არის ცეცხლით აღბეჭდილი:
დიდსა თუ მცირეში ვიყოთ ისეთი,
როგორც ლენინი,
მასში ვხედავდეთ ჩვენს ნათელ
გონებას.

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ძალღონეს არ იშურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩაის სიუხვის ოსტატები

ახლოვდება ლენინური კომკავშირის იუბილე. მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ემზადება ამ თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. წარმოებებსა და დაწესებულებებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა წინასაუბილეო შეჯიბრება.

საქართველოს კომკავშირული ახალგაზრდობა წარმატებით ეგებება დიად იუბილეს. ათასობით კომკავშირელი, მუშა, სტუდენტი თავდადებით შრომობს საწარმოებში, მშენებლობებზე. კომკავშირული ორგანიზაციები უნარიანად წარმართავენ საიუბილეო შეჯიბრებას.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს აფხაზეთის რაიონების კომკავშირელებმა, რომლებმაც შეფობა იკისრეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე და მშრომელებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის აღებაში ეხმარებიან. კომკავშირელებმა გამართეს შეჯიბრება პროფესიაში საუკეთესოს წოდებისათვის. ისინი თავდადებით შრომობენ და მაღალ შრომითს წარმატებებს აღწევენ.

სურათზე: ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდების ლენელიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **ეთერ შეიქუა.** იგი რაიონის მოწინავე მკრეფავია. საუკეთესოა თავის პროფესიაში. მას უკვე მოკრეფილი აქვს სამ ტონამდე მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ი. ჰოზონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალგაზრდობას იერიში მიაქვს კლდეებზე

გვირაბის კვეთია 82 კვადრატული მეტრი, სიგრძე — 16 კილომეტრი. ჩვენ მეცხრე სანგრევის მისასვლელ შტოლნში ვართ. ამ გვირაბით გაიკვლევს ენგურის წყალი ძალური კვანძისაკენ, ამაშადგება ამერკავკასიის ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ტურბინები.

ჯერ-ჯერობით კი აქ გაჩაღებულია მუშაობა. მეცხრე და მეათე სანგრევების შეერთებამდე სულ რამდენიმე ათეული მეტრი დარჩა. მიზნის სიახლოვემ კიდევ უფროდ აიჩქარა მშენებლობის ტემპი. მიაკრიან ბეტონით, ლითონის სამაგრებით, მთის ქანით დატვირთული მანქანები.

— უკანასკნელი მეტრები ჭირვეული აღმოჩნდა, — ამბობს ახალგაზრდა ინჟინერი სერგი სიხარულიძე. რბილი ქანი გვაიძულებს დაგდგათ დამატებითი სამაგრები, თორემ ჩამოინგრევა.

ყოველ ნაბიჯზე ახალგაზრდა სახეებია. მშენებლობაზე ორიათასზე მეტი ახალგაზრდაა, ბევრი მათგანი კომკავშირული საგზურით ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

კომკავშირელი ს. მამუჩაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული ბრიგადირია ენგურჰესზე. მისთვის მშენებლობა ნამდვილი სკოლა გახდა. აქ ითვისა მან ოთხი სპეციალობა.

მიგდივართ შეეულ კედელთან — ეს ჯერ-ჯერობით მეათე სანგრევის ბოლოა. აქ მიღებულია უსაფრთხობის ტექნიკის განსაკუთრებული ღონისძიებანი. ჩვენს ზემოთ გაუმეფულია საკავი ლითონის ბაზები. ი. ჩიკვაიძის გვიროვანმყვანთა ბრიგადა საბურავ-ასაფეთქებელ სამუშაოთა სამზადისშია. ეს ბიჭები მონაწილეობდნენ ჩქარობრონსული გაყვანის სრულიად საკავშირო რეკორდში, რომელიც გ. ნადირაძისა და ი. გელაშვილის კომპლექსურმა ბრიგადამ დაამყარა.

გასულ თვეში მთ გაიყვანეს 131 გრძივი მეტრი გვირაბი და დამყარეს სრულიად საკავშირო რეკორდი, რომელიც სათვალავით მეოთხეა ამ წელიწადში.

ვ. გულაშვილი,
(საქდესის საეც. კორ.).

ხუთწლედი — ვადამდე!

„ინრიბპრომ-68“ მომავალი გამოფენისათვის



ლენინგრადი. მოთავრდება მინის, ლითონისა და ალუმინის ორიგინალური პავილიონების მშენებლობა. მალე პავილიონებში დაიწყება „ინრიბპრომ-68“ გამოფენის მოწყობილობისა და ექსპონატების მონტაჟი. გამოფენა აგვისტოში იხსნება.

თეგზის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე საშუალებათა ამ საერთაშორისო ჩვენებაში მონაწილეობის ხუთვილი განაცხადა 24 ქვეყნის 300-ზე მეტმა ორგანიზაციამ და ფირმამ.

სურათზე: მოპირკეთების სამუშაოები ინგარის პავილიონში.

ფოტო ი. ბარანოვისა (საკ. ფოტოქრონიკა).

ქალაქ ოზერსკში

ბაქმ, 14 აგვისტო. (აზერბაიჯანის კორ.). მეზუთმეტეთონე მცოცავი ბულდოზერ ბულატა აზერბაიჯანს. ეს არის ბოლონა, რომელიც საბირაბადის რაიონის ფდანოვის სახელობის ტრაქტორ კოლმეურნეობის მეკალმეურნეობის ოჯახში დაიბადა. ახალშობილი ეუბნალი დაჯილდოებულია სამასსთვრო ოქროს მედლით, ჩვილის სრული კომპლექტით და სათანადო ბონუსებით.

აზერბაიჯანი, რომელსაც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ბამბადობით, რამდენიმე დიმოკრატიული ტრადიციის „ბაკურია“, მათ შორის ორი პირდაპირ ერთმანეთის საწინააღმდეგოა. რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობა ჰყავს ჩვენს ქვეყანაში: მის მეცხოვრეთა 45 პროცენტს შეადგენენ 15 წლამდე ასაკის ბავშვები. ამავე დროს აზერბაიჯანი ინარჩუნებს მსოფლიო პირველობას ხანდაზმულთა შედარებითი რაოდენობით. მის ყოველ 100 ათას მცხოვრებზე მოდის 100 და მეტი წლის 84 მოხუცი. რესპუბლიკის ყველაზე მოხუცი მცხოვრები შირალი ბიბლიმოვი 163 წლისაა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების მუშაკებმა გაანალიზეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის გეგმის შესრულებისა და **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და მოიპოვეს ახალი წარმატებანი მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოებასა და პირუტყვის სულადობის ზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ განიხილეს მეცხოველეობის დარგში რაიონების შეჯიბრების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა რაიონების პირველ ჯგუფში მიენიჭა **ბორჯომის** რაიონს, რომელმაც მოიპოვა საუკეთესო მაჩვენებლები სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დარგში.

ბორჯომის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის მეორე კვარტალის გეგმა შეასრულა 143,4 პროცენტით, რძისა — 128,3 პროცენტით, მატყლისა — 127,7 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობიდან უმაღლესი ნაკვებობის პირუტყვმა შეადგინა 4 პროცენტი, საშუალო ნაკვებობის პირუტყვმა — 57 პროცენტი და საშუალოზე ნაკლები ნაკვებობის პირუტყვმა — 39 პროცენტი.

1967 წლის 1 ივლისთან შედარებით 1968 წლის 1 ივლისისათვის რაიონში პირუტყვისა და ფრინველის სულადობა შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 103,7 პროცენტს, აქედან ძროხისა — 105,9 პროცენტს, ღორისა — 127 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 109,1 პროცენტს, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ შესაბამისად შეადგინა: ხორცისა — 131,2 პროცენტი, რძისა — 111,6 პროცენტი, მატყლისა — 114,6 პროცენტი. რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის გაწყდომა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მეორე ჯგუფის რაიონებში მიენიჭა **გაგრის** რაიონს, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტთა მიყიდვის დარგში.

გაგრის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის მეორე კვარტალის გეგმა შეასრულა 146,2 პროცენტით, რძისა — 130 პროცენტით, კვერცხისა — 138,1 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობიდან უმაღლესი ნაკვებობის პირუტყვი იყო 26 პროცენტი, საშუალო ნაკვებობისა — 39 პროცენტი და საშუალოზე ნაკლები ნაკვებობისა — 35 პროცენტი.

1967 წლის 1 ივლისთან შედარებით 1968 წლის 1 ივლისისათვის რაიონში პირუტყვისა და ფრინველის სულადობა შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 87,4 პროცენტს, აქედან ძროხისა — 101,7 პროცენტს, ღორისა — 83,4 პროცენტს, ფრინველისა — 101,5 პროცენტს, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება შესაბამისად შეადგენდა: ხორცისა — 96,4 პროცენტს, რძისა — 103,8 პროცენტს, კვერცხისა — 99,3 პროცენტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ აღნიშნეს, რომ მეორე კვარტალში მეცხოველეობის დარგში კარგად იმუშავეს **წითელწყაროს, საგარეჯოს, გურჯაანის, გარდაბნის, ხაშურის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, თიანეთის, ცხაკაიასა** და **ლენინგორის** რაიონებმა. (საქდესი).

ᲩᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗ

მეტი ყურადღება კვების მრეწველობის მშენებლობებს

15 აგვისტოს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ო. კატუშევი.**

სხდომაზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა კაპიტალური მშენებლობისა და ამოქმედების გეგმა.

კომისიის წევრ დეპუტატთა მოსაზრებელი ჯგუფის მიერ ამ საკითხის განხილვის შედეგებზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა დეპუტატმა **ნ. ს. კონოვალოვმა.** შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი **გ. ა. კარავაევი,** სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ს. დ. ხიტროვი,** სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი **ვ. ვ. ზოტოვი,** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ა. მ. ყარსიევი,** სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც კომისიას მოახსენეს, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოთა მშენებლობა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზა. მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცა საწარმოო სიმძლავრეები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაადიდეს მოეხდელი რძის პროდუქციის, ხორცისა და რძის პროდუქტების, მცენარეული ზეთის, მაკრის ფქვილის, ნილისა და ბოსტნეულის, კონსერვების წარმოება.

მაგრამ, როგორც თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა **გ. ვ. პავლოვმა, ი. მ. ბუროვმა** და სხვებმა, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მზარდ რესურსებს. მაგალითად, 1965-1968 წლებში პირუტყვის შესყიდვა ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 35 პროცენტით, რძისა — 40 პროცენტით, ხოლო მათი გადამუშავებელი სიმძლავრეები გადიდდა შესაბამისად მხოლოდ 8 და 9 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ვერ უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობების მიერ მიწოდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სრულ გადამუშავებას.

კომისიამ აღნიშნა, რომ წლიდან წლამდე ვერ სრულდება ამ დარგებში კაპიტალური დაბანდების გეგმები. მაგალითად, 1967 წელს 509 ასამუშაებელი მშენებლობიდან საექსპლოატაციოდ გადასცეს მხოლოდ 358 მშენებლობა. მიმდინარე წელსაც ვერ სრულდება კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობის გეგმა. სამშენებლო სამინისტროები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმისთვის, რომ უზრუნველყონ მშენებლობანი მასალებით, მანქანებით, მექანიზმებითა და მუშახელით.

კომისიამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობაში და შექმნან მტკიცე ბაზა კვების პროდუქტების წარმოებისათვის.

სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დეპუტატი **ნ. ს. კონოვალოვი.**

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. სპირიდონოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ა. გორგაძე,** სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები. (საქდესი).

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

15 აგვისტოს თეირანიდან თბილისში თავის ეჯიშვილთან ერთად ჩამოვიდა ირანის უფლისწული **აბდორ-რეზა ფეჰლევი.** სტუმარს აეროდრომზე შეხვედნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გიგოშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **ვ. ა. ჩოფიკაშვილი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ზ. ქიტიაშვილი,** „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **პროფესორი დ. შ. გიუნაშვილი.**

— ხომ არ ინებებთ რაიმე გადასცეთ საქართველოს საზოგადოებრიობას? — ჰკითხა საქდესის კორესპონდენტმა **აბდორ-რეზა ფეჰლევის.**

— გადაეცით მხურვალე სალამი და გულწრფელი მეგობრული სურვილები. საქართველოში უკვე მესამედ ჩამოვდივარ, — თქვა შემდეგ ირანელმა სტუმარმა. — და ეს ჩემთვის დიდად სასიამოვნოა. რესპუბლიკაში წინა სტუმრობის დროს საუკეთესო შთაბეჭდილებანი შეიქმნა. თვალსაჩინოდ დავრწმუნდი, თუ რა პროგრესს მიაღწია საქართველოს მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, კულტურამ, გავეცანი რესპუბლიკის შემდგომი განვითარების გეგმებს.

— ქართველ ხალხს, განსაკუთრებით ირანის უფლისწულმა, სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი ისტორიული წარსულით და ბრწყინვალე აწმყოთი.

(საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე

ოთარ დავითის-ძე ონიაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის ო. დ. ონიაშვილის დაკრძალვის მოწყობისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიან: **რ. რ. დვალი** (თავმჯდომარე), **გ. შ. მიქელაძე, ვ. ვ. მახალდიანი, კ. ს. ზავრიევი, შ. ა. ჯაბუა** და **ვ. ა. ჩოფიკაშვილი.**

აკადემიკოს ო. დ. ონიაშვილის დაკრძალვა მოხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ

კომუნისტური შრომის საწარმო — თბილისის კერამიკული კომბინატი (დირექტორი ვ. ურუშაძე) წარმატებით ეწევა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვასტს. კერამიკოსებმა შვიდი თვის გეგმა 101,1 პროცენტით გაანაღდეს. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს 25 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 32.300 მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი.

მიმდინარე წელს კომბინატის კოლექტივმა მკვეთრად აამაღლა მანქანა-დანადგარების გამოყენების კოეფიციენტი, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდა 1,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 2,9 პროცენტით და მოგების გეგმას 0,3 პროცენტით გადააჭარბა.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ხაშურის რაიონის სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა 400 ჰექტარზე თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 12 სამუშაო დღეში აიღეს. პურის მკაში დაწინაურდნენ სტრაჭტორი ბრიგადის ხელმძღვანელი მექანიზატორი ს. კობალაძე, კომბაინერები მ. ხარაიშვილი, ვ. სარალიძე, ავტომძღოლები ს. მინაძე, ვ. ბოგოლაძე, დამხმარე მუშები ი. კვერნაძე, გ. გრიგალაშვილი, ვ. გოგოლაძე.

ი. ჯაჯლიშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲘ

ბაქო, 14 აგვისტო. (აზერბაიჯანის კორ.). მეზუთმეტეთონე მცოცავი ბულდოზერ ბულატა აზერბაიჯანს. ეს არის ბოლონა, რომელიც საბირაბადის რაიონის ფდანოვის სახელობის ტრაქტორ კოლმეურნეობის მექანიზატორ ეუბნალის ოჯახში დაიბადა. ახალშობილი ეუბნალი დაჯილდოებულია სამასსთვრო ოქროს მედლით, ჩვილის სრული კომპლექტით და სათანადო ბონუსებით.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ

15 აგვისტოს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ო. კატუშევი.**

სხდომაზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა კაპიტალური მშენებლობისა და ამოქმედების გეგმა.

კომისიის წევრ დეპუტატთა მოსაზრებელი ჯგუფის მიერ ამ საკითხის განხილვის შედეგებზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა დეპუტატმა **ნ. ს. კონოვალოვმა.** შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი **გ. ა. კარავაევი,** სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ს. დ. ხიტროვი,** სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი **ვ. ვ. ზოტოვი,** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ა. მ. ყარსიევი,** სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც კომისიას მოახსენეს, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოთა მშენებლობა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზა. მიმდინარე ხუთწლედის პირველი

უურადღება, პოლიტინფორმაცია იწყება!

„ბრძენ ბალიანელი ხალხი გაიმარჯვებს საბერძნეთიან ბრძოლაში!“ — ასეთი იყო თემა პოლიტინფორმაციისა, რომელიც ამ დღეებში მოაწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პოლიტინფორმატორმა გ. ბათიკაშვილმა.

გ. ბათიკაშვილი რამდენიმე წელია, რაც ამ საამქროს ოსტატია. იგი კარგად იცნობს წარმოებას, მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და უშუალო კავშირი აქვს ხალხთან. პოლიტინფორმატორის საუბრები საინტერესო, მიმზიდველია, იშვიათად თუ ჩაიხედავს კონსპექტში, რადგან სერიოზულად ემზადება ყოველი პოლიტინფორმაციისათვის.

ჩვენ ვესაუბრეთ გ. ბათიკაშვილს შასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალ ფორმაზე — პოლიტინფორმაციაზე.

—ეს ახალი საქმეა, და სათანადო გამოცდილება რომ შეიძინო, — გვეუბნება გ. ბათიკაშვილი, — ამისათვის დროა საჭირო. პოლიტინფორმატორს უნდა გააჩნდეს შემდეგი თვისებები: მონდომება და საქმისადმი სიყვარული. როცა პოლიტინფორმაციას ვიწყებ, წინასწარ ვსწავლობ ადამიანთა ხასიათს, განწყობილებას. ზოგჯერ კაცი ზის და ყურს არ მიგდებს. ეტყობა, მას რაღაც აწუხებს. ხომ არ შეიძლება რაიმე დახმარება გავუწიო მას? — ვფიქრობ. აი ასე ინდივიდუალურად ვუდგები თვითეულ მსმენელს.

...პოლიტინფორმაცია დაიწყო. გ. ბათიკაშვილმა ხაზი გაუსვა ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივ მოქმედებას ვიეტნამში, საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში, იმ საყოველთაო მხარდაჭერას, რასაც გრძნობს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი მთელ მსოფლიოში. ამ მხარდაჭერაში ხომ დახმარებაც იგულისხმება და აქ პოლიტინფორმატორმა ილაპარაკა იმ წვლილზე, რაც რუსთაველ მეტალურგებს შეაქვთ მტერზე ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების საქმეში.

საუბარი საინტერესო გამოდგა. თუმა თითქოს ახალი არ იყო, მაგრამ ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარებამ, უკანასკნელ დღეებში მომხდარ მოვლენათა კომენტარმა მსმენელებს ერთხელ კიდევ განუმტკიცა რწმენა ამერიკელ აგრესორებზე ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების შეხახებ.

ექვსი პოლიტინფორმატორია გამოყოფილი მარტენის საამქროში. აქედან ორი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას ეწევა, ორი — ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისას, ხოლო ორიც — ეკონომიკის საკითხებზე აწყობს პოლიტინფორმაციებს.

— თვეში რამდენჯერ ეწყობა პოლიტინფორმაცია? ამ საკითხზე მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანმა ე. ჩიხლაძემ ასე გვიპასუხა: — თვითეული ინფორმატორი თვეში ოთხჯერ აწყობს პოლიტინფორმაციას ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. მათი თემატიკა მრავალფეროვანია. ქარხნის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე მ. მაკალსკი ინსტრუქტაჟისა და რჩევა-დარიგებისათვის სისტემატურად აწყობს სპეციალურ სემინარებს. მაგრამ პოლიტინფორმატორები დამოუკიდებლადაც არჩევენ თემებს, შესაბამის ლიტერატურას, ეცნობიან ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს.

პოლიტინფორმაციას, როგორც აღმზრდელობითი მუშაობის ახალ ფორმას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი. აქ ბიუროს თითქმის ყველა სხდომაზე განიხილავენ პოლიტინფორმატორთა ჯგუფების მუშაობის, სექციების ხელმძღვანელების სწავლების, მათი მეთოდური დახმარების შესახებ. ქალაქში პოლიტინფორმატორთა სექციების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ოთხი სპეციალიზებული სემინარი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. სემინარის მეცადინეობა თვეში ერთხელ ეწყობა. ამ საქმეს დიდი ყურადღებით ეკიდებიან პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტი და პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილება (გამგეები გ. ჯაფაშვილი და რ. ურუშაძე).

სიამოვნებით უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ შექმნილია პოლიტინფორმატორთა სექციების ხელმძღვანელების სემინარი. მისი ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სკოლის დირექტორს, გამოცდილ პროპაგანდისტს ვ. ბაიკაძეს. რა ამოცანას ისახავს მიზნად ეს სემინარი? — დაებმაროს პოლიტინფორმატორთა სექციების ხელმძღვანელთ ადგილებზე ყველა მოაწყონ თავიანთი მუშაობა. სემინარში 25 კაცია გაერთიანებული. აქ სისტემატურად კითხულობენ ლექციებს ზოგადპოლიტიკურ თემებზე, განიხილავენ შესაბამის საკითხებზე ინფორმაციათა მიწოდების მეთოდიკას, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

ორიგინალურად მოაწყეს პოლიტინფორმატორთა მუშაობა რუსთავის ქიმიურ კომბინატში (პარტიული კომიტეტის მდივანი ი. წირლავა). აქ ერთ-ერთი პოლიტინფორმატორი, ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე ჯ. ჭაჭია პოლიტინფორმაციებს აწყობს კომბინატის სამმართველოს მუშაკებთან. იგი კვირაში ერთხელ გამოდის პოლიტინფორმაციით ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე, ამისათვის იგი იყენებს ყველა განყოფილებისათვის საერთო შესვენების დროს.

როცა პოლიტინფორმატორი საშინაო ცხოვრების ამა თუ იმ საკითხს ეხება, იგი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დარაზმოს ადამიანები მათ განსახორციელებლად, განსაზღვროს თვითეული მშრომელის როლი და ადგილი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებაში.

პოლიტინფორმაცია აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმაა. ამიტომ გასაგებია, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაუგებარიც და დასაზუსტებელიც. ამ ფაქტს ითვალისწინებს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და ყველა ღონეს ხმარობს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ამ სიახლის ფართოდ დანერგვისათვის.

პოლიტინფორმატორთა მუშაობის საკითხებს სისტემატურად განიხილავენ თავიანთ სხდომებზე მეტალურგიული ქარხნის, ამონრკავასის მეტალურგმშენის ტრესტის, ქიმიური კომბინატისა და სხვა მსხვილ საწარმოთა პარტიული კომიტეტები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ამზადებს ახალ ღონისძიებებს, რომლებიც პოლიტინფორმატორთა შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ იქნება მიმართული.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

საუკეთესონი — საპატიო წიგნში

ფოთი. (საკ. კორ). საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით დაწესდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის საპატიო წიგნი, რომელშიც შეიტანენ იდეოლოგიური მუშაობის მოწინავე ადამიანებს.

საპატიო წიგნში უკვე ჩაიწერა ტრესტ „კოლხიდმშენის“ ინჟინერის ზ. კირთაძის, ფოთის ნავსადგურის სამმართველოს შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგის კ. ტურრინის, ფოთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის, საქალაქო კომიტეტის ლექტორის გ. გეოლაგას გვარები.

ახალგაზრდა ინტელიგენციის შეკრება

ქუთაისი. (საკ. კორ.). კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ქუთაისში. აქ ყოველწლიურად ეწყობა ახალგაზრდა ინტელიგენციის საქალაქო შეკრება. წარშან ასეთი შეკრება მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, ხოლო წელს — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადებას.

ახალგაზრდა ინტელიგენციის საქალაქო შეკრება, რომელიც ამ დღეებში გელათში მოეწყო, გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმერაძემ. შეკრება ორ დღეს გაგრძელდა. პირველ დღეს გაიმართა დისკუსია თემაზე: „რით ვხვდებით ლენინური კომკავშირის ნახევარსუკუნოვან იუბილეს“, ხოლო მეორე დღეს მოეწყო კულტურული და სპორტული ღონისძიებანი.

კედლის გაზეთებს — პარგული ზრუნვა

თერჯოლა. (საკ. კორ.). საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომმა მოაწყო კედლის გაზეთების რედაქტორთა რაონული თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მ. შეყრილაძის მოხსენება კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

კედლის გაზეთების რედაქტორებმა თათბირზე ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

საინტერესო სემინარი

ბგეგეჭკორი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და პოლიტინფორმატორთა სემინარი.

სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს: პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ბახიამ, პოლიტინფორმატორთა სემინარის ხელმძღვანელმა გ. ელიავამ, რაიკომის ინსტრუქტორმა გ. ბართიამ, ხუნწის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ბ. კვანტალიანმა, პარტიის რაიკომის მდივანმა ა. ხუროძემ.

ახალ ეტაპზე ლენინური სიტყვა და საქმე

რაიკომი და ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა

ახმეტის რაიონის სიმდიდრის ძირითადი წყარო ვენახია. ვაზისაგან მიღებული შემოსავალი საერთო შემოსავლის 65 პროცენტს შეადგენს. ამ დიდმნიშვნელოვან დარგს განსაკუთრებული ყურადღება უკანასკნელ წლებში მიექცა.

ახლა ნაყოფის მომცემი ვენახი 1.672 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული. გასულ წელს ნაცვლად 8.355 ტონისა სახელმწიფოს 11.700 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მივყიდეთ. ჰექტარზე საშუალოდ 62,8 ცენტნერი ყურძენი ვაწარმოეთ. პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს მევენახეთა შრომა. **ყურძნის წარმოებასა და დამზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.** მაღალი ჯილდოთი წახალისებულმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს წელს ნაცვლად 9.300 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 11.100 ტონა ყურძენი.

მევენახეთა შრომის შედეგებს რომ გადახედავ, ანალიზს გაუკეთებ პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობას, დანამდვილებით შეგიძლია თქვა, რომ სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ საგრძნობლად ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, თვითეული კომუნისტის ინიციატივა და აქტივობა. სწორედ კომუნისტები იბრძვიან სოფლის ეკონომიკის ზრდისათვის, ტექნიკის გონივრულად გამოყენების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. კომუნისტები უდგანან სათავეში უბნებს, ბრიგადებსა და რგოლებს. უმარტო მასებს უჩვენებენ მუყაითი, თავდადებული შრომის ნიმუშს, რაზმავენ მათ გეგმების შესასრულებლად. კომუნისტების ავანგარდული როლი სულ უფრო მაღლდება საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში ნათლად ჩანს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, ტექნიკური პროგრესისა და შრომის მეცხერელი ორგანიზაციის დანერგვისათვის პარტორგანიზაციების ბრძოლის გაძლიერებით.

ამ მხრივ საგულისხმოა ახმეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი გ. გაგანაძილი) მუშაობის გამოცდილება. აქ პარტბიურო და ადმინისტრაცია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან კომუნისტთა და უპარტიოთა შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს. ამან მათ საშუალება მისცა განეხორციელებინათ ფიდმნიშვნელოვანი ღონისძიება. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მეურნეობის დირექტორი თ. შამიშვილი წლების მანძილზე სწავლობდა ნამყენის გამოყვანის გამოცდილებას. მან საკუთარი დაკვირვების შედეგიც მიუმატა და დიდ წარმატებას მიაღწია, სამი წელია, რაც რაიონი საკუთარი ნერგით აშენებს ახალ ვენახებს. პარტორგანიზაციამ შეძლო გეგმაზომიერად, მიზანსწრაფულად წარემართა პარტჯგუფების, სახალხო კონტროლიორების, „კომკავშირული პროექტორების“, ძირეული პრესის, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, პროპაგანდისტების მუშაობა. ამოქმედდა რეზერვები, ამაღლდა წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა. 1967 წელს მეურნეობამ 1.400.000 ნერგი დაამყნო, საიდანაც 80 პროცენტი პირველი ხარისხის ნამყენი ვაზი მიიღო. შემოსავალმა 108.000 მანეთიდან 296.000 მანეთამდე იმატა. კომუნისტები არიან ყოველი საქმის სული და გული. შ. ბაიაშვილის, ი. გაფარაშვილის, გ. არეშაძისა და სხვათა საქმიანობა ქების ღირსია.

არანაკლები გამოცდილება შეიძინა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ. აქ მსხმოიარე ვენახების ფართობი 600 ჰექტარს აღწევს. მევენახეობის ბრიგადებს გამოცდილ კომუნისტები ხელმძღვანელობენ. აი ისინიც: სოციალისტური შრომის გმირი გ. ხარიტონაშვილი, ა. ბასილაშვილი, ჯ. ჯუგაშვილი, მ. ბერძენიშვილი, ლ. მჭედლური, ნ. ჩიჩაური და სხვები. პარტბიუროს (მდივანი შ. ჭარელიშვილი) ყურადღების ცენტრშია ზრდის მოცულობა-პატრონობა. პრაქტიკაში დამკვიდრდა ბიუროს სხდომებზე ბრიგადირთა ანგარიშების მოსმენა. კომუნისტების თაოსნობით განხორციელდა შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაცია, სიმეჩხრის ლიკვიდაცია, პრემიალური სისტემა და სხვ. პარტბიურომ ბრიგადებში შემოიღო ყოველდღიური სამუშაოს დაჯამება და ხარისხის დადგენა. ამ საქმეზე პარტიული ჯგუფები და სახალხო კონტროლიორები მუშაობენ. შექმნილია სპეციალური კომისიები. გასულ წელს მეურნეობამ სახელმწიფოს 248.000 მანეთი ეკონომია მისცა. ფიქტურმა მოგებამ 692 ათასი მანეთი შეადგინა, გეგმით კი 600 ათასი მანეთი იყო ნავარაუდევი. ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე 8 მანეთი და 10 კაპიკი დაიხარჯა, როგორც ვხედავთ, ეკონომიური ეფექტი საგულისხმოა. წელს მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 31.000 ცენტნერი ყურძენი მიჰყიდოს სახელმწიფოს, გეგმა 25.300 ცენტნერს ითვალისწინებს. ვალდებულების გასანაღდებლად მევენახეები თავდადებით შრომობენ. ჩვენს რესპუბლიკაში ალვნის ჯიშთასაწარმო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი დიდი სახოგადოებრივი მეურნეობაა. იყო დრო, როცა თუშები მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ. უკანასკნელ პერიოდში კი ვაზის სიყვარულმა მათ გულშიც დაიდო ბინა. ახლა მათი ზვრები 755 ჰექტარზეა გადაქმნილი. ამ შემოდგომაზე 313 ჰექტარზე მქენებათ რთველი. გასულ წელს ალვნელმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 15.334 ცენტნერი ყურძენი, გეგმა კი 8.850 ცენტნერის ითვალისწინებდა. ყველაზე დიდი მოსავალი ზემო ალვნის ვახტანგ ფიფიას ბრიგადის მეურნეობაში ერთ ჰექტარზე 96 ცენტნერი ყურძენი აწარმოეს. ამ განყოფილებას საქმის მცოდნე კომუნისტი გ. ამაძე ხელმძღვანელობს. მარტენ მევენახეობიდან მეურნეობამ 212,4 ათასი მანეთი მოგება მიიღო. წლეულს ალვნელებმა ვალდებულება იკისრეს ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერამდე გაზარდონ.

ასეთია საბეურნეო მონაცემები მევენახეობის დარგში. მევენახეთა შრომას გეგმაზომიერად წარმართავს პარტიული კომიტეტი, რომელიც ხუთ პირველად პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებს. მეურნეობის 4.200 მშრომელი მჭიდროდ დაარაზმულია პარტიული კომიტეტის გარშემო. აქ 200-მდე კომუნისტია დასაქმებული შრომის სხვადასხვა უბანზე. ხელმძღვანელი აპარატი (ბრიგადირების ჩათვლით) დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. ყოველ მთგანს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის სწორი ორგანიზაციისათვის. მევენახეები ა. ქადაგიძე, დ. პაპაშვილი, ი. ქავთარაშვილი, დ. თილიძე, თ. ბუღრიძე და სხვები არა მარტო თვითონ იძლევიან შეგნებული შრომის კარგ მაგალითს, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სიყვარულს მთელ კოლექტივს უნერგავენ. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და პარტიული კომიტეტის სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ მევენახეობის საკითხებს, ადგენენ ოპერატიულ გეგმებს, ალვლევენ კომუნისტებს ერთდროულ პარტიულ დავალებებს, ახორციელებენ კონტროლს მათი შესრულებისადმი.

სოფელ ქისტაფრის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე ყურძნის უხვი და მყარი მოსავალი მოჰყავთ. შარშან აქ ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 82 ცენტნერი შეადგინა, ვეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა. წელს ქისტაფრელები 8.000 ცენტნერ ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

არ შეიძლება ქებით არ მოიხსენოთ მაღრაანის კოლმეურნეობა და მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. მაღრაანსა და მატანში გასულ წელს ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს. ეს განაპირობა პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციათა შეთანხმებულმა მუშაობამ, კოლექტივთან მჭიდრო კავშირმა. მატნის საბჭოთა მეურნეობას ჩამოყალიბების დღიდან სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი და უნარიანი ხელმძღვანელი ა. ჭუნიაშვილი.

წინა წლებში მაღრაანის კოლმეურნეობაში მევენახეობას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. აქაც მოგვიხდა პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობის შეცვლა. პარტორგად არჩეულ იქნა მუყაითი, ენერგიული კომუნისტი რ. მექვეთრიშვილი. კომუნისტებმა ფართო მსჯელობის საგნად გახადეს არტელის ეკონომიური მდგომარეობა, მხედველობაში მიიღეს რაიკომის რჩევა და მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მევენახეობას. ამქამად ეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი წამყვანია ჩვენს რაიონში.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ბანკისის ხეობაში ექვსი კოლმეურნეობის ბაზაზე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა. დასახულია პერსპექტიული გეგმა. სულ ახლო მომავალში ვაზი მთავარი კულტურა გახდება ამ მაღლიან მიწაზე.

მევენახეობაში მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა წლების მანძილზე დიდი შრომა გასწიეს კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ზრდისათვის. ეს სამუშაო სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა: პარტიული კრების მაორგანიზებელი, დამრაზმავი როლის გაძლიერება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური წრთობის გაუმჯობესება, პარტიული ძალებისა და პარტიული დავალებების სწორი განაწილება, სკკპ საწესდებო მოთხოვნებისა და პარტიული დავალებების შესრულებაზე პარტორგანიზაციების კონტროლის გაძლიერება და სხვ.

უკანასკნელ ხანებში საგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობაში ბევრი სიახლე დაინერგა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეექმნა პოლიტინფორმატორთა ჯგუფები, რომლებიც სისტემატურ ინფორმაციას აძლევენ მშრომელებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოვლენებზე. დღეკვნდელ პირობებში კი საუბრის მთავარი თემაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების საკითხი. პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. აქ ინიციატორებად მოწინავეები, აგიტატორები გამოდიან. სულ სოფლის მეურნეობაში 500-ზე მეტი აგიტატორი ეწევა ნაყოფიერ მუშაობას. რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საერთო მოწოდებას — ხუთწლედი ოთხ წელიწადში.

ამჟამად მევენახეები დიდ მზადებაში არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად. მევენახეთათვის რეგულარულად იმართება გასვლითი კონცერტები, მხატვრული დილა-საღამოები და სხვ. დიდი გამოცდილება აქვს ალვნის საბჭოთა მეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელიც მარშან წარმატებით გამოვიდა კრემლის ყრილობათა სასახლეში. ეს კოლექტივი, რომელმაც მშრომელთა მოწონება დაიმსახურა, გასტროლებს აწყობს რაიონის სოფლებში.

ახმეტელ მევენახეთა წარმატებებს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ კომუნისტების ინიციატივით ბევრი სიახლე ინერგება აგროტექნიკაში. რაიკომი პრაქტიკულად ამოწმებს ამ წინადადებებს და ხელს უწყობს კეთილი საქმეების ორგანიზატორთა ნიჭის, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განვითარებას. რაიკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან ერთად მოწინავე მეურნეობებში რეგულარულად აწყობს სემინარებს რომელიმე საახლის შესახებ. ამის შემდეგ სასარგებლო საახლე მეურნეობაში ინერგება. ყოველივე საუკეთესო მთელი რაიონის კუთვნილება ხდება.

სიტყვიდან საქმეზე! — ასეთია ახმეტელ კომუნისტთა უპირველესი ამოცანა.

ბ. ბატიაშვილი,
საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.

ლარჩელი დღეს და ხვალ

ეს სოფელი ენგურის მარცხენა ნაპირზეა — ზუგდიდიდან ოკიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ფართო ასფალტიანზე მიაქრიან ავტომანქანები. ეს ასფალტიანი კი სოფელს შუაზე ყოფს და ანაკლიამდე, ფაქიზღვისპირა სოფლამდე ჩადის. მიაქვთ ამ გზას და თავლწინ გეშლება შესანიშნავი პეიზაჟი: სკოლები, კოლმეურნეთა ორსართულიანი კოშკია ოდა-სახლები, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, პურის საცხობი, სასადილოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ელექტროწყლქვილები, საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ბაღები, სომონდის ყანები, ფერმები და ბოსტნები. ყველაფერი ეს ახალი ცხოვრების პირმშოა და სოფელ ლარჩელის მიწაზე აღმოცენდა.

ეს სიალამაზე და სიმდიდრე სოფელს მშრომელი ადამიანის მარჯვენამ შესძინა. წინათ ამ სოფლის „სამკული“ ტალახიანი გზები და ისლით დახურული სახლები იყო. ამბობენ ბებერი ენგური ტბორავდა და ატყობენ ველ-მინდერებს. ოცდაათიან წლებში მოვიდნენ ახალი ადამიანები, ჩამოყალიბეს სასოფლო - სამეურნეო არტელი, რომელიც დაარსების დღიდან ეგზავ „ოქტომბერი“ სახელს ატარებს.

საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორთან — შ. ქაფარასთან ერთად ვიგეალიერებთ ჩაის, დაფნის, ციტრუსების პლანტაციებს, სომონდის ყანებს, მეცხოველეობის ფერმებს, ყველგან ჩანს ამბავი კოლმეურნის ხელი.

1964 წელს კოლმეურნეობაში მოიკრიფა 174.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1967 წელს, ვალდებულების ჩათვლით, — 242.100 კილოგრამი. მარტო ჩაიდან ფულადი შემოსავალი 142.635 მანეთიდან 201.977 მანეთამდე გაიზარდა. დარჩელელმა კოლმეურნეებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს აგრეთვე სომონდის, დაფნის, თხილის, აბრეშუმის პარკის, თაფლის, ბოსტნეულის, მრავალწლიანი ნარგავების მოსავლიანობა.

კოლმეურნეობის შემოსავალი 1963 წლის 181.645 მანეთიდან 1967 წელს 548.908 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე 2 მანეთი და 59 კაპიკიდან — 3 მანეთსა და 37 კაპიკამდე.

ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო გაიზრდება კოლმეურნეობისა და თვითეული კოლმეურნის შემოსავალი. წინასწარი გაანგარიშებით კოლმეურნეობის შემოსავალი 611.381 მანეთს გადაჭარბებს, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე — 4 მანეთს.

ეს წარმატება თავისით როდი მოსულა. იგი გამოსჭედეს მკლავმოუღლელმა კოლმეურნეებმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქადარავა სიამაყით გვიამბობენ მათ. მადუღი შელია, ინოლა ნავიმეიანი, ვალია კვარაცხელია, მაგრა არნანია, ნორა სიჭინავა, ნუცა ბიჭვავა! თვითეული ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს კრეფს. ასეა წელსაც.

ენგურის ნამირზე გაშლილ ნოყიერ მიწებზე ვნახეთ დარჩელელთა სომონდის ყანები. მესომონდეებს ს. აბასანძეს, რ. სიჭინავას, კ. როგავას, გ. ბიგვავას, ჩ. მანაას, ე. ცანავას სანიმუშოდ დამუშავებული სომონდის ყანები აქვთ. საშუალოდ ჰექტარზე 80-100 ცენტნერ მარცვალს მოიღიან. სომონდის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვთ დარჩელელ მესომონდეებს.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მიცემული ნარგავების საქმიანობა.

კოლმეურნეობის შემოსავალი 1963 წლის 181.645 მანეთიდან 1967 წელს 548.908 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე 2 მანეთი და 59 კაპიკიდან — 3 მანეთსა და 37 კაპიკამდე.

ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო გაიზრდება კოლმეურნეობისა და თვითეული კოლმეურნის შემოსავალი. წინასწარი გაანგარიშებით კოლმეურნეობის შემოსავალი 611.381 მანეთს გადაჭარბებს, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე — 4 მანეთს.

ეს წარმატება თავისით როდი მოსულა. იგი გამოსჭედეს მკლავმოუღლელმა კოლმეურნეებმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქადარავა სიამაყით გვიამბობენ მათ. მადუღი შელია, ინოლა ნავიმეიანი, ვალია კვარაცხელია, მაგრა არნანია, ლეონიდ ბიჭვინიკა, ბელა ბიჭვავა! თვითეული ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს კრეფს. ასეა წელსაც.

ენგურის ნამირზე გაშლილ ნოყიერ მიწებზე ვნახეთ დარჩელელთა სომონდის ყანები. მესომონდეებს ს. აბასანძეს, რ. სიჭინავას, გ. ბიგვავას, ჩ. მანაას, ე. ცანავას სანიმუშოდ დამუშავებული სომონდის ყანები აქვთ. საშუალოდ ჰექტარზე 80-100 ცენტნერ მარცვალს მოიღიან. სომონდის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვთ დარჩელელ მესომონდეებს.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მიცემული ნარგავების საქმიანობა.

კოლმეურნეობის შემოსავალი 1963 წლის 181.645 მანეთიდან 1967 წელს 548.908 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე 2 მანეთი და 59 კაპიკიდან — 3 მანეთსა და 37 კაპიკამდე.

ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო გაიზრდება კოლმეურნეობისა და თვითეული კოლმეურნის შემოსავალი. წინასწარი გაანგარიშებით კოლმეურნეობის შემოსავალი 611.381 მანეთს გადაჭარბებს, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე — 4 მანეთს.

ეს წარმატება თავისით როდი მოსულა. იგი გამოსჭედეს მკლავმოუღლელმა კოლმეურნეებმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქადარავა სიამაყით გვიამბობენ მათ. მადუღი შელია, ინოლა ნავიმეიანი, ვალია კვარაცხელია, მაგრა არნანია, ლეონიდ ბიჭვინიკა, ბელა ბიჭვავა! თვითეული ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს კრეფს. ასეა წელსაც.

ენგურის ნამირზე გაშლილ ნოყიერ მიწებზე ვნახეთ დარჩელელთა სომონდის ყანები. მესომონდეებს ს. აბასანძეს, რ. სიჭინავას, გ. ბიგვავას, ჩ. მანაას, ე. ცანავას სანიმუშოდ დამუშავებული სომონდის ყანები. მესომონდეებს ს. აბასანძეს, რ. სიჭინავას, გ. ბიგვავას, ჩ. მანაას, ე. ცანავას სანიმუშოდ დამუშავებული სომონდის ყანები აქვთ. საშუალოდ ჰექტარზე 80-100 ცენტნერ მარცვალს მოიღიან. სომონდის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვთ დარჩელელ მესომონდეებს.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მიცემული ნარგავების საქმიანობა.

კოლმეურნეობის შემოსავალი 1963 წლის 181.645 მანეთიდან 1967 წელს 548.908 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე 2 მანეთი და 59 კაპიკიდან — 3 მანეთსა და 37 კაპიკამდე.

ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო გაიზრდება კოლმეურნეობისა და თვითეული კოლმეურნის შემოსავალი. წინასწარი გაანგარიშებით კოლმეურნეობის შემოსავალი 611.381 მანეთს გადაჭარბებს, ხოლო შრომის ანაზღაურება ერთ კაც-დღეზე — 4 მანეთს.

ეს წარმატება თავისით როდი მოსულა. იგი გამოსჭედეს მკლავმოუღლელმა კოლმეურნეებმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქადარავა სიამაყით გვიამბობენ მათ. მადუღი შელია, ინოლა ნავიმეიანი, ვალია კვარაცხელია, მაგრა არნანია,

საერთაშორისო ცხოვრება

ინდონეზია

ერი ეკამათებიან ინ-კომუნისტებს

ჯაკარტა, 15 აგვისტო. (საკდესი). როგორც ინდონეზიის ოფიციალური ანტარას საგენტო იუწყება, აღმოსავლეთ იავაში დაპატიმრეს 850-მდე კაცი, ინდონეზიის ამჟამად აკრძალული კომუნისტური პარტიის წევრები. მათ შორის არიან ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 6 წევრი და აღმოსავლეთ იავის პროვინციული კომიტეტის ზოგიერთი წევრი. დაპატიმრეს აგრეთვე ინდონეზიის კომპარტიის ქალთა ორგანიზაციის „გერვანის" თავმჯდომარე სუკატნო.

ეთიოპია

მოლაპარაკება ადის-აბებაში

ადის-აბება, 14 აგვისტო. (საკდესი). ეთიოპიის დედაქალაქში განახლდა ნიგერიის ფედერალური მთავრობისა და აღმოსავლეთ ნიგერიის რეფორმის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ქვეყნის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე. ეს არის მეხუთე შეხვედრა მას შემდეგ, რაც 5 აგვისტოს დაიწყო მოლაპარაკება. მოლაპარაკება მიმდინარეობს დახურულ დარბაზში ეთიოპიის იმპერატორ ჰაილე სელასიე I ხელმეწყობით.

ადგილობრივ მიმომხილველთა წრეებში ვარაუდობენ, რომ ეს მორიგი შეხვედრა უმთავრესად ეძღვნება საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობისათვის დახმარების გაწევას.

ნიგერიის ფედერალური მთავრობის დელეგაციას დღეანდელ მოლაპარაკებაზე მეთაურობს საზოგადოებრივი სამუშაოების საკითხთა კომისარი ფ. ოკუნუ. ფედერალური მთავრობის მთავარი წარმომადგენელი ადის-აბების მოლაპარაკებაზე ინფორმაციისა და შრომის კომისარი ანტონი ენაჰორო გუშინ მთავრობასთან საკონსულტაციოდ ლაგოსში გამგზავრა.

იაპონია

გაძალადგა კარტიის ლიდერი

ტოკიო, 15 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გადადგა იაპონიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი კოიტირო იამამოტო.

იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დათანხმდა იამამოტოს გადადგომას და იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე მასასი ისიბასის დაავალა შეთავსებით შესასრულოს პარტიის გენერალური მდივნის მოვალეობა პარტიის ყრილობამდე, რომელიც მომდინარე წლის სექტემბერში გაიმართება. გადაწყვიტეს აგრეთვე ყრილობა მოიწვიონ წინათ გათვალისწინებულ ვადაზე ადრე — 26 სექტემბერს.

გადადგომის მიზეზად იაპონიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა იამამოტომ მოიყვანა „პირადი ხასათის გარემოებანი".

იაპონია

უხეში დარღვევა

ამმანი, 14 აგვისტო. (საკდესი). ისრაელი კვლავ უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დადგენილებას იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია რაიმე ცალმხრივი ცვლილებების შეტანა ქალაქ იერუსალიმის სტატუსში, წერს დღეს გაზეთი „ად-დუსტური". ისრაელის ხელისუფლებამ, წერს გაზეთი, შეიმუშავეს იერუსალიმის არაბულ ნაწილში უახლოესი ოთხი წლის მანძილზე ებრაული წარმოშობის 80 ათასი პირის — ისრაელის მცხოვრებთა და იმ ახალ ემიგრანტთა დასახლების გეგმა, რომლებიც ამ დროის მანძილზე ისრაელში ჩავლენ. ეს გეგმა, ხაზგასმულია სტატიაში, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ისრაელი, რომელიც თავზედაურად უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილებას და მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტებს, არ აპირებს არაბებს დაუბრუნოს იერუსალიმის ოკუპირებული ნაწილი.

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, პარასკევი, 16 აგვისტო, 1968 წ.

ქოლუმბია

ამერიკის საშიში ცდები

ბოგოტა, 14 აგვისტო. (საკდესი). კოლუმბიის დედაქალაქში გაიმართა კოლუმბიისა და არგენტინის კომუნისტურ პარტიათა დელეგაციების შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და თავიანთი პარტიების საქმიანობის გამოცდილება, განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა.

შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ საჭიროა გაღლიერდეს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე. დელეგაციებს უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ განამტკიცონ ორივე პარტიის სოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრატისლავის განცხადების გამო კომუნიკეში გამოთქმულია რწმენა, რომ იგი ხელს შეუწყობს სოციალიზმის საქმის განმტკიცებას ჩეხოსლოვაკიაში.

კოლუმბიისა და არგენტინის კომუნისტურ პარტიათა დელეგაციებმა განიხილეს აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის ამა წლის ნოემბრის თათბირის საკითხი. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ ამ თათბირის გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო შეაკავშირებენ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას.

შეხვედრის მონაწილეებმა ამხილეს ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში გააერთიანოს სამხედრო დიქტატურები მრავალეროვნული არმიის შექმნით, რათა „ამჯობინონ გაილაშქროს ხალხთა მოძრაობის წინააღმდეგ მთელ კონტინენტზე". შეხვედრის მონაწილეებს ეხედველობაში აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების ცდები გამოაცოცხლოს „პროგრესისათვის კავშირი" და აამაღლოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის პრესტიჟი, როგორც დოკუმენტში აღნიშნავენ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ნამდვილი ჰარმონიული განვითარება შეუძლებელია, სანამ არსებობს ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება ამერიკის მონოპოლიებზე.

კვლავ „ცხელი ზაფხული"

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. პოროშინი გვატყობინებს:

შეერთებული შტატების სხვადასხვა კუთხიდან ტელეტაიპები ყოველდღე გადმოსცემენ დეპეშებს აღნიშვნით „ელვა", რომლებიც შეშფოთებით იუწყებიან ახალ „რასობრივ აფეთქებებს" ზანგთა ვეტოებში, „ანონიერებისა და წესრიგის" დარღვევის შემთხვევებს, რომ არის პოლიციის ძალადობის მსხვერპლი.

ამ ბოლო დღეებში გულისწყრომამ იფეთქა ჩიკაგოს მიდამოებში, დიდ ინდუსტრიულ კლიკლენდში, ნიუ-იორკის ჯურღმულებში, გავრცელდა პენსილვანიის, არკანზასის, ვისკონსინის, მისურის შტატებში.

სულ რამდენიმე დღის წინათ, სამი წლის შემდეგ, კვლავ „აჯანყდნენ" ზანგები უოტსში-ლოს-ანჯელესის ზანგთა რაიონში.

ამერიკა შოკირებული იყო სროლით, რომელიც მაიამის ქუჩებში ატყდა იმ დროს, როცა რესპუბლიკური პარტია ყრილობაზე ირჩევდა პრეზიდენტობის თავის კანდიდატს. ყველა შემთხვევაში ზანგები მოითხოვდნენ თანასწორ უფლებებს, უმუშევრობისა და შიმშილის ლიკვიდაციას.

მიმდინარე წლის დამდეგიდანვე მღელვარება სულ უფრო იღებს ზანგი მოსახლეობისა და წესრიგის დამცველთა შეიარაღებული შეტაკებების ხასიათს. ეს არის წლევანდელი „ცხელი ზაფხულის" თავისებურება. ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში აქაოდ გაისმის შეშფოთების ნოტები იმის გამო, რომ პოლიციელებთან შეტაკებები სულ უფრო დიდ მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობა. ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთი სპეციალისტის, 1965 წლის უოტსის „აჯანყების" შესახებ წიგნის ავტორის რობერტ კონოტის აზრით, ყოველი მეხუთე 19 წლამდე ასაკის ზანგი „მზად არის ყოველ წუთს მიიღოს მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში".

წლევანდელი „ცხელი ზაფხულის" თავისებურებაა ის ფაქტი, წერდა ამას წინათ სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", რომ „სულ უფრო იზრდება ზანგთა გამოსვლების რიცხვი და ეს გამოსვლები სულ უფრო საშიში და ორგანიზებული ხასიათისაა". „ნიუ-იორკ ტაიმსი" შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ზანგი მოსახლეობა სულ უფრო უმერს მხრს შეიარაღებულ გამოსვლებს, და მოუწოდებს კონგრესსა და ორივე მმართველი პარტიის ხელმძღვანელებს სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელონ „შავი ამერიკის" ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ ოფიციალურ ხელისუფლებს განზრახული აქვთ კვლავაც დაამყარონ ძირითადი იმედი პოლიციელის ხელკეტზე. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა კლარკმა გამოაცხადა, რომ შესაძლოა დამატებით გამოიყოს 4.35 მილიონი დოლარი „სამოქალაქო არეულობის" ჩახშობასთან დაკავშირებული „ხარჯების დასაფარავად".

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ შესაბამისი დასკვნები გამოიტანა გასული წლის „ცხელი ზაფხულის" ამბებიდან. კლივენდში, მაიამში, ლოს-ანჯელესსა და ბევრ სხვა ქალაქში ხელისუფლები დაუყოვნებლივ აწესებდნენ კომენდანტის საათს, ალყას არტყამდნენ რაიონებს, სადაც მღელვარება იწყებოდა და შეპყავდათ შიგ მეტი პოლიციელთა და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცთა დიდი ქვეგანაყოფები. ხელისუფლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მოეციათ იზოლაციაში „ხანძრის კერები", საშუალება არ მიეცათ სხვა რაიონებშიც გავრცელებულიყო მღელვარება, შემდეგ კი უახლესი ტექნიკური და ქიმიური საშუალებებით ჩაეხშოთ იგი. როგორც წესი, ასეთ ოპერაციებში მონაწილეობენ ქვეგანაყოფები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება და ფლობენ ამერიკის ქალაქების „ჯუნგლებში" ომის წარმოების მეთოდებს.

პროგრესული ამერიკა მოითხოვს, რომ შეცვალონ მიდგომა ზანგთა საკითხის გადაწყვეტისადმი. ზემოხსენებული რობერტ კონოტი გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" დაბეჭდილ ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა, რომ ძირითადი მიზეზები, რომლებიც ზანგებს უბიძგებენ შეიარაღებული გამოსვლებისათვის, არის „დისკრიმინაცია, უფლებრივობა და საშინელი საბინაო პირობები".

პრობლემის გადაჭრა შეიძლება არა ზანგთა მღელვარების ჩახშობის მეთოდების სრულყოფით, არამედ იმ სოციალური პირობების ლიკვიდაციით, რომლებიც მას წარმოშობენ.

ემზადებიან ჩიკაგოს ყრილობისათვის

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის ჩიკაგოს ყრილობა, რომელიც 26 აგვისტოს იხსნება, მაგთულხლართებს იქით გაიმართება. ქალაქის ხელისუფლებამ უკვე დაამთავრეს უზარმაზარი ლითონის ღობის შემოვლება შენობის გარშემო, რომელშიც დემოკრატთა სხდომები მოეწყობა. ღობის ზემოთ რამდენიე რიგად გაჭიმულია ეკლიანი მავთული. შენობის გვერდით შენდება ელერტშფრინველების დასაჯდომი მოედანი, რომელიც შეიძლება დელეგატთა სასწრაფო ევაკუაციისათვის გამოიყენონ.

ჩიკაგოში გაგზავნილია შტატის საუკეთესო პოლიციური ძალები, ეროვნული გვარდიის რჩეული ჯარისკაცები, ყველაზე გამოცდილი პოლიციელი მაძებრები და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები. ათასობით პოლიციელი, ჯარისკაცი და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი ალყას შემოარტყამს შენობას, სადაც ყრილობის მუშაობა წარიმართება.

სიფრთხილის ღონისძიებანი, რომლებსაც ჩიკაგოს ხელისუფლები ახორციელებენ, სრულიად არ არის ზედმეტი. ამერიკის პროგრესული ძალები აპირებენ ჩიკაგოს ყრილობის დროს მოაწყონ გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია დემოკრატთა საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ. წინასწარი მონაცემებით, ქალაქში ჩავა ასი ათასამდე დემონსტრანტი ამერიკის ყველა კუთხიდან. ადგილობრივი პრესა ვარაუდობს, რომ ჩიკაგო შეიძლება გახდეს ზანგთა უმაგალითო გამოსვლების ადგილი.

ევროპა

ნეონაციისტთა შეხვედრა მსხვილ კაპიტალისტებთან

ბერლინი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგაზეთო კორესპონდენტი დიუსელდორფიდან იტყობინება, ნეონაციისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურები გასული კვირის დამლევს ხაიდუშლო ადგილას შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებს, მათ შორის იმათ, ვინც აფინანსებს მათს პარტიას.

შეხვედრა მიეძღვნა ბუნდესტაგის მომავალი 1969 წლის არჩევნებში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატის დასახელების საკითხს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუდოლფ ეტკერის ფლიკის კონცერნების წარმომადგენლები, აგრეთვე „ი. გ. ფარბენის" კონცერნის მეკვიდრის — კომპანია „ხასფიხის" და დასავლეთ გერმანიის სხვა კონცერნების წარმომადგენლები".

როგორც ცნობილი გახდა, ნათქვამია ადნ-ის ცნობაში, კონცერნების წარმომადგენლებმა გადაკვრით თქვეს, რომ არც თვითონ იტყოდნენ უარს ნეონაციისტურმა ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ მათი კანდიდატურები რომ დაასახელოს. მაგრამ, მათი აზრით, 1969 წელს ეს ნაადრევი იქნება. შეხვედრაზე შეთანხმეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან ბუნდესტაგის დეპუტატობის კანდიდატთა სია. ყველა ეს კანდიდატი ზემოაღნიშნული კონცერნების ხელმძღვანელთა ნდობით აღჭურვილი პირები არიან. შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს აგრეთვე ეს კანდიდატები დაასახელონ მარტო იმ ოლქებში, სადაც „არის მათი არჩევის მაქსიმალური შანსები".

ნეონაციისტური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებს აღუთქვეს, რომ ნეონაციისტური პარტია „ყოველ ღონეს იხმარს", რათა მათი ინტერესების შესაბამისად იბრძოლოს დამტკიცებულ კანდიდატთა არჩევისათვის — „ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ".

შეტევა პროფკავშირებზე

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). ნეონაციისტურმა ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო შეტევა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირებზე. ეს პარტია, რომელსაც მხარს უჭერენ დასავლეთ გერმანიის მსხვილი მონოპოლიები, აშკარად მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების გათიშვისათვის, რომლის რიგებში ირიცხება 6,5 მილიონზე მეტი კაცი. ამას ჰანოვერიდან იუწყება ადნ-ის საგაზეთო კორესპონდენტი.

ნეონაციისტებს სურთ შექმნან საკუთარი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებს პროფკავშირებისა და სხვა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე „საკუთარი პროფკავშირების" შექმნა. მაგალითად, ფონ ტადენის პარტიის ოფიციალურმა ორგანომ „დოიჩე ნაპრიხტენმა" მოუწოდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ყველა მომხრეს გაერთიანდნენ რაღაც „მოსათმენ პროფკავშირში" დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ფარგლებს გარეთ. გაზეთი აყალიბებს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის „დებულებებსა და მოთხოვნებს" პროფკავშირული მუშაობის მიმართ. საგულისხმოა, რომ აქ საქმე ეხება „მეწარმისა და მუშის მიერ ნაკისრ ვალდებულებას — ერთმანეთის ერთგული იყვნენ", „სოციალური პარტნიორების ინტერესების გათანაბრებას" და „კლასობრივი ბრძოლის საბოლოოდ დაძლევას".

კონსტიტუციის გაძარცვებას უპირებენ

ბონი, 14 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და სამი თვის შემდეგ ძალაში შევა ბონის ბუნდესტაგის მიერ მიღებული საგანგებო კანონებიდან უკანასკნელი — დასავლეთგერმანელ მოქალაქეთა ტელეფონით საუბრისა და საფოსტო მიმოწერისადმი კონტროლის კანონი. ეს კანონი, რომელიც აქარწყლებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებებს საფოსტო მიმოწერისა და ტელეფონით საუბრის საიდუმლოების შესახებ, ფაქტიურად დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთ უფლებას აძლევს უთვალთვალონ ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, გამოიყენონ ტელეფონის, ტელეგრაფისა და საფოსტო კავშირგაბმულობის საშუალებანი.

დღემდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასეთი „უფლებით" სარგებლობდა დასავლეთის სამი სახელმწიფო იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც თავის დროზე დადო ბონის მთავრობამ.

რუმინეთის დელეგაცია პრაღაში

პრაღა, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ.

საავიაციო კატასტროფა

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ლოს-ანჯელესის გარეუბანში დაიმსხვრა სამგზავრო ვერტმფრინავი, რომელშიც იყო თვრამეტი მგზავრი და ეკიპაჟის სამი წევრი.

როგორც იუწყებიან, დაიღუპა ეკიპაჟი და ყველა მგზავრი, რომელთაგან უმრავლესობა ბავშვები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ დისნეი ლენდის ცნობილ პარკში. ეს ვერტმფრინავის ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მიწისძვრა გელგიკაში

ბრიუსელი, 14 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს მიწისძვრა მოხდა მონსოსა და შარლერუას შორის მდებარე რაიონში. ამ რაიონის მცხოვრებლებმა იგრძნეს ორი მიწისქვეშა ბიძგი, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებით ძლიერი — 7 ბალამდე იყო.

მიწისძვრის ეპიცენტრის ახლომდებარე ქალაქ ლალუვიერსა და სხვა ქალაქებში ბევრ სახლში ჩამოინგრა კვამლსადენი მილები, ჩაიმსხვრა მინები, მსხვერპლი არ უყოფილა.

ფოტოეკრანი

ესეც ჩვენი „თავისუფალი სამყარო"!

□ თურქეთი. თურქეთის ქალაქების ქუჩებში არც თუ იშვიათად წააწყდებით მტვირთავებს, მძიმე ტვირთს რომ ძლივძლივობით ეზიდებიან. მათი შრომა ძალზე იაფია და ამიტომ მოვაჭრეები და ფაბრიკანტები ფართოდ იყენებენ მტვირთავებს საკმაოდ შორ მანძილებზე საქონლის გადასაზიდად.

სურათზე: (ქვემოთ მარცხნივ) მტვირთავი თურქეთში ერთ-ერთ ქუჩაზე.

ფოტო ი. ბერკოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

□ ამერიკის შეერთებული შტატები. მექსიკური წარმოშობის 5 მილიონზე მეტი ამერიკელი, რომლებიც ტეხასის, ნიუ-მექსიკოს, არიზონის, კოლორადოსა და კალიფორნიის შტატებში ცხოვრობენ, სხვა უუფლებო და უსახლკარო ამერიკელებთან ერთად „ამერიკის მიგიწყებულ ადამიანთა" კატეგორიას მიეკუთვნება. უკიდურესი სიღატაკე და აქედან გამომდინარე მომავლისადმი უიმედობა და გამოუვალი მდგომარეობა აქ თაობიდან თაობაში ვდგადის.

ლუკმაპურის საშოვნელად ხშირად მექსიკელები ოჯახიანად ერთი შტატიდან მეორეში გადადიან ტეხასისა და კალიფორნიის შტატებში ბამბის პლანტაციებში სამუშაოდ, კალიფორნიაში ყურძნისა და ბოსტნეულის მოსავლის ასაღებად, ხოლო ფლორიდაში ციტრუსების დასაკრეფად. ისინი ბარაკებსა და მიწურებში ცხოვრობენ და დამქანცველი შრომის სანაცვლოდ მხოლოდ თითოეულობა კაპიკს იღებენ.

სურათზე: (მარჯვნივ ზემოთ) მექსიკელის ტიპური ქოხი ბარსელოსში (ნიუ-მექსიკოს შტატი).

□ ეკვადორი. შაქრის ლერწმითა და თივით ნაგები ასეთი სახლებით არის დაფარული პროვინცია ლოს-რიოს დედაქალაქ ბაბოიოს მუშათა რაიონი. (სურათი ქვემოთ).

ფოტო ხოხე სოლისა კასტროსი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბერძნეთი

მასობრივი დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს საბერძნეთის პოლიციამ მასობრივი დაპატიმრება მოაწყო. ამის საბაბი გახდა გუშინდელი თავდასხმა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპადოპულოსზე.

ყურადღებას ეპყრობს ის გარემოება, რომ, თუმცა გუშინ დაპატიმრებული საბერძნეთის არმიის ყოფილი ლეიტენანტი პანაგულიასი, რომელსაც თავდასხმის ორგანიზაცია ედება ბრალად, ხელისუფალთა განცხადებით, უკიდურეს მეშარჯვენე წრეებს ეკუთვნის, დღეს დაპატიმრეს ცენტრის კავშირის პარტიასთან დაკავშირებული პირნი.

პრეს-კონფერენციაზე ინფორმაციისა და პრესის საკითხთა გენერალურმა დირექტორმა სტამატოპულოსმა განაცხადა, რომ „დაპატიმრება მოხდა უშიშროების მოსაზრებებით".

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, საბერძნეთის პოლიციის მიერ დაპატიმრებულთა რიცხვი ასს აღწევს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დღეს საბერძნეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც საბერძნეთის მოქალაქეობას ართმევს 45 კაცს „საზღვარგარეთ ანტიეროვნული საქმიანობისათვის".

რიცოსი საავადმყოფოში გაგზავნეს

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). ათენის საავადმყოფოში გაგზავნეს ბერძენი პოეტი იანის რიცოსი, რომელიც 1967 წლის 21 აპრილიდან გადასახლებულია იაროსისა და ლეროსის კუნძულებზე. ამას წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე", რომელიც იმოწმებს არაოფიციალურ წყაროს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სამხედრო ხუნტის მიერ საბერძნეთისა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მწერლის დაპატიმრებამ დიდი პროტესტი გამოიწვია.

პროვოკაციები

კორეა

დემილიტარიზებულ ზონაში

ფხენიანი, 14 აგვისტო. (საკდესი). უხეშად თელავს რა შეთანხმების კორეის დაზავების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს პროვოკაციებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, დემილიტარიზებულ ზონას ქცევს საბრძოლო პოზიციად და ტრული მოქმედების კერად.

როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამერიკის მხარეს მტაიცე პროტესტი განუცხადეს იმასთან დაკავშირებით, რომ დემილიტარიზებულ ზონაში შეიქმნა დიდძალი მძიმე და ავტომატური იარაღი.

ამ რაიონში ხშირად იმართება ბოლმე ადგილთა სროლა, რისთვისაც პასუხისმგებლობა მთლიანად ამერიკის მხარეს ეკისრება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კვლავ მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს პროვოკაციული მოქმედება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ზუსტად დაიცვას კორეის დაზავების შეთანხმება.

ჯაშუშობაში გამოტყდნენ

ფხენიანი, 15 აგვისტო. (საკდესი). აქ პრეს-კონფერენცია გამართა ამერიკის საჯაშუშო გემის „პუებლოს" ეკიპაჟმა, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს დაეკავა კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში. „პუებლოს" ეკიპაჟის წევრები, იუწყება კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო, გამოტყდნენ, რომ ჯაშუშობას ეწეოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, და დიდი სინანული გამოთქვეს ამის გამო.

მსოფლიო

● პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს საერთაშორისო კონფერენციათა სახლში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მე-17 ოფიციალური საუბარი.

● ლონდონი, 14 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ამა წლის ივლისში მკვეთრად გაიზარდა და მიაღწია 80 მილიონ გირვანქა სტერლინგს ივნისის 50 მილიონ გირვანქა სტერლინგთან შედარებით. ამას იუწყება ვაჭრობის სამინისტრო. დეფიციტი გაიზარდა იმპორტის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით.

● პანოი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს პანოიში 14 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით საჰაერო განგაში გამოცხადდა.

ძალაქმის საჰაერო დაცვის ნაწილებმა ცეცხლი დაუშინეს ამერიკულ თვითმფრინავს, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა.

● ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). წუხელ ზანგთა მღელვარებამ იფეთქა ქალაქ ლუისვილში (კენტუკის შტატი). მღელვარების საბაბი იყო ბომბის აფეთქება ეკლესიაში, სადაც ქადაგებს ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლს, ვერაგულად მოკლული მარტინ ლუთერ კინგის ძმა.

400 ზანგი გამოვიდა ქუჩებში რასისტთა ახალი დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მალე მთელ რაიონს ალყა შემოარტყეს პოლიციელებმა, რომლებმაც დემონსტრანტთა გარეკვა დიეწყეს. რამდენიმე კაცი დაჭაპტიმრეს, სანამ პოლიცია „წესრიგს აღადგენდა".

ბოლოდ

ფაქტები

საბჭოთა ოლქი

ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტი

ბიუჯეტი

ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის

შეხვედრა პოეტთან

ფერილი უკრაინიდან

ქიევის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და უკრაინის სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში 1936 წლის ზაფხულში გამოჩნდა წიგნი, რომელიც შემალვე დაიტაცეს პოეზიის მოყვარულებმა. წიგნს ყდაზე „მოტკვიფრული ჰქონდა ხელმოწერა არასლავური ასოებით შესრულებული აგტოგრაფის სახით. სატიტულო ფურცელზე წიგნის ავტორის პორტრეტის შემდეგ იწერა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები. თარგმანი ქართულიდან ი. კულიბისა“.

ეს იყო დიდი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა პირველი სრული კრებული, რომელიც მწერლის საშობლოს ფარგლებს გარეთ გამოვიდა, პირველი სრული კრებული — უკრაინულ ენაზე! წიგნის წინასიტყვაობაში მთარგმნელი — ცნობილი უკრაინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ივანე იულიანეს-ძე კულიკი აღნიშნავდა, რომ წიგნში თავმოყრილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა ნაწარმოები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

ბენედიქტური რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებისადმი ინტერესი ი. კულიკმა, რომელიც მაშინ უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი იყო, ამ თარგმანის გამოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოიჩინა. ოცდაათიანი წლების დასაწყისში შესამჩნევად გამოიცოცხლდა კულტურული ფასეულობების გაცვლა სხვადასხვა საპჭოთა რესპუბლიკის ხალხებს შორის. 1933 წლის დეკემბერში ქართველ მწერალთა ჯგუფი იყო მოსკოვში, რის შემდეგ ეწვია ხარკოვს, სადაც შეხვდა მწერალთა ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. გამოთხოვებისას მიხეილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ უკრაინელი კოლეგები საქართველოში მიიწვიეს სტუმრად. სხვა უკრაინელ მწერლებთან ერთად თბილისში სტუმრად ჩავიდა ივანე კულიკიც. ამ მოგზაურობიდან იგი დაბრუნდა მტკიცედ გადაწყვეტილებით — დაეყოვნებლივ შესდგომოდა ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმნას, რომლის შესახებაც მას ბევრი რამ საინტერესო უამბეს საქართველოში.

საბჭოთა მწერლების I სრულიად საკავშირო ყრილობაზე ივანე კულიკმა წაიკითხა მოხსენება უკრაინული ლიტერატურის შესახებ, მაგრამ მისი ფიქრები მარტო მშობლიური უკრაინის ლიტერატურთა შემოქმედებითის წარმატებებს როდი დასტრიალებს. სხვა კავშირის ხალხთა ლიტერატურის სხვა კორიფეებს შორის მან თავის მოხსენებაში დაასახელა ნიკოლოზ ბარათაშვილიც, თქვა, რომ „იგი შეიძლება დაყენებულ იქნას ჯაკომო ლეოპარდისა და ედგარ პოს შორის“.

იმ დროს წარმოიდგა დისკუსია ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ ნ. ბარათაშვილის ადგილი „ბაირონიზმის“ წარმომადგენლებში. ამასთან დაკავშირებით ი. კულიკი აღნიშნავს: „ზოგიერთი ფორმალისტური შეხედულების ნაცვლად ჩვენთვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა გარემოებას, რაც ბარათაშვილს ბაირონთან და „ბაირონიზმის“ წარმომადგენლთა უმრავლესობასთან აკავშირებს. ისევე როგორც ისინი, ბარათაშვილი ძველი არისტოკრატიული, მაგრამ გაღარიბებული და დაჩაგრეთ ეროვნების ერის ნაშიერია; ისევე როგორც ისინი, ბარათაშვილი გამოხატავს ერთი მხრივ ბეს-ილიმიზმსა და მარტობას ფეოდალური არისტოკრატიისს, რომელსაც ცხოვრების ასპარეზიდან ხდევნის ასალი, ბურჟუაზიული კლასი, და, ბოლოს, ისევე როგორც „ბაირონიზმის“ წარმომადგენელთა ეროვნული ბაზა, ბარათაშვილი ობიექტურად რამდენადმე ხდება მებრძოლი მისადმი ამ მტრული კლასის ინტერესებისა და იდეალებისათვის“.

უკრაინელი მთარგმნელი, იცავს რა დიდი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედების ორიგინალობასა და თავისებურებას, პოლემიკას აწარმოებს იმათთან, ვინც ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს „იპოვნოს“ მსოფლიო ლიტერატურის რომელიმე სხვა რომანტიკოსის გავლენა ბარათაშვილის ამა თუ იმ ნაწარმოებზე. მთარგმნელთა უმრავლესობა, მაგალითად, ბარათაშვილის ცნობილ ლექსს „ეროვნულ“ ნაცვლად უწოდებს „ეროვნულ“ ან „ეროვ ეროვნულ“. ხოლო კულიკი ტოვებს ორიგინალის ზუსტ სახელწოდებას, რომელსაც შეუძლია გადმოსცეს მწერლის ნამდვილი ჩანაფიქრი.

მთარგმნელმა უკრაინულ ენაზე გამოგვიტანა ბარათაშვილის წიგნში დაარღვია პოეტის ნაწარმოებთა ტრადიციული განლაგება ქრონოლოგიური წესით და პირველ ადგილზე დაიყენა ფილოსოფიური ლირიკის შედევრი „მერანი“, რომელშიც სიმბოლიურად გამოხატულია ხალხის მისწრაფება ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისადმი. ი. კულიკმა ეს ლექსი მიიჩნია დიდი ქართველი რომანტიკოსის კრედოდ.

უკრაინელმა მწერალმა ბარათაშვილის ოპტიმიზმი დანახა აგრეთვე ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“.

მთარგმნელმა აღადგინა აგრეთვე მწერლის მეორე ცნობილი ლექსის ნამღვილი სახელწოდება „სუმბული და მწარი“, რომელსაც რუსულ თარგმანებში სათაურად ჰქონდა „სუმბული და უცხოელი“. მწერალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ მწარი მაინც და მაინც უცხოელს როდი ნიშნავს (თუმცა ამ შემთხვევაში ალბათ ლაპარაკია სხვა ქვეყნიდან გამოსულზე), არამედ მოგზაურს, განდეგილს; მწარს უწოდებენ აგრეთვე ახალგაზრდა მორჩილებს მონასტრებში (როგორც ეს ლერმონტოვს აქვს). რაც შეეხება „სუმბულს“, იგი, მთარგმნელის მტკიცებით, უნდა გვესმოდეს როგორც ყვავილი, კეთილსურნელოვანი მცენარე, და არა როგორც სუმბულის მარონი, რომელსაც საეკლესიო წესრიგის დროს ხმარობდნენ. მოტივი მშობლიური ადგილისადმი, სამშობლოსთვის სევდისა, ბრძოლისმოყვარე ყვავილის სახეში, რომელიც ჭაბუნის, ერთა ერთ, ოდესმე უცხო ნიადაგზე გადაკვნა. — აღნიშნავს ი. კულიკი, — საკმაოდ გავრცელებულია XIX საუკუნის მსოფლიო პოეზიაში. მაგრამ ბარათაშვილის პოეზიაში ვგრძნობ ამ სევდის სხვა ელფერი. პოეტი თავს უცხოდ ვრძნობს ბუნების ბაღში, ასეთი კეთილშობილება, და ყოველისმომცველი ჰუმანისტური სწრაფვა.“

როგორც ცნობილია, ბარათაშვილი ამ ლირიკაში ხშირად იყენებს. ბუნების, მის სტიქიათა და მოვლენათა სახეებს: სატრფო მზეა, რომლის ელვარების შუაში პოეტი ანთებს თავის ჩირაღდანს, — სხვა შემთხვევაში თვითონ პოეტს სურს იყოს მზე და ვარსკვლავი, რომ სატრფო ცის ყვარი იყოს. ყოველივე ეს შეესაბამება ირანული პოეზიის ტრადიციებს, შესაძლოა, სუფიების ფილოსოფიურ-რელიგიური სკოლიდან მოდიოდეს. მაგრამ,— ამტკიცებს ამასთან მთარგმნელი, — სუფიები უფრო ხშირად განმარტავდნენ სიყვარულს მისტიკური, ღვთიური აზრით, სიყვარული წარმოადგენდა ღვთაების სიმბოლოს, ხოლო სუფისტური მისტიკის ამ ნიშნებს ჩვენ თანამედროვე ბარათაშვილის შემოქმედებაში — მისი ტენდენციური რეალისტურია. ისეთ ლექსშიც კი, როგორიც არის „ეროვნ ტაძარი“, სადაც თავისებურად ასახულია ირანული სუფიტური მანერა, ბარათაშვილს არა აქვს რელიგიური მისტიკის ნიშნები: „ტაძარიც“ ტაძარი კი არ არის, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილი ციხეა.

ასე თავისებურად, ღრმად და ისტორიულად სწორად წაიკითხა და თარგმნა უკრაინელმა პოეტმა ქართველი რომანტიკოსი.

ივანე კულიკი, რომელიც განსაკუთრებით მომთხოვნი თავისი თავისადმი, როგორც პოეტისადმი და შეგვნებული აქვს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც აკისრია, უკრაინელ მკითხველს ეროვნული რომ თავადაზნაურ ქართველი ქართველი პოეტის ლირიკის თვალმარგალიტებს, თავის მოვალეობას უდიდესი სერიოზულობით მოეკიდა. თვითონ ნოვატორი და ვერსიფიკაციის ოსტატი, იგი ცდილობდა რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცა ქართველი ეროვნული კლასიკოსის სტილისათვის დამახასიათებელი მეტრიკა და სტროფიკა, დაეცვა ორიგინალის რითმების განაწილება და მის სასვენი ბუნება. ივანე კულიკმა ბრწყინვალედ გაართვა ამას თავი, რასაც მოწმობს მაშინდელი პრესის გამოხმაურება. „მისასალმებელია ბარათაშვილის ნაწარმოებთა სრული კრებულის საუკეთო გამოცემა, რომელიც გამოუშვა მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ, ი. კულიკის თარგმანითა და წინასიტყვაობით“, — წერდა რეცენზიორი „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი“, 12.15 — ო. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 14.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწონავე სტატია, 14.45 — პიესები აკორდეონისათვის, 15.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე“ (მოსკოვი), 15.15 — მ. იაშვილისა და თ. ამირეჯიბის კონცერტი, 15.40 — საუბარი „ვიეტნამური შთაბეჭდილებანი“, 16.00 — ციკლიდან „მოგონებებნი, სტატიები. წერილები“ — ჯორჯ ენესკუ, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — შუადღის საათი ბავშვებისათვის. საუმაწვილო ოპერა „ქაჯანა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ვ. ცაბაძე. სიმპერეტო მუსიკა, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — დეკრეტი. სლავური ცეკვები, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი „ენციკლოპედიტი და ლიტერატურული ახალგაზრდობა“, 19.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 21.00 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 21.30 — თ. გოდერძიშვილი. „მიწისქვეშა სასახლეები“. რადიო დრამა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — პოპულარული საორკესტრო ფრაგმენტები ოპერებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

პარასკევი, 16 აგვისტო

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. ნახატი ფილმი „მინდა ვიყო მამაცი“, 2. „ეკლიანი ციხესმაგრე“. უნგრული მრავალსერიანი მხატვრული სატელევიზიო ფილმის პრემიერა (მეშვიდე სერია), 12.00 — ციკლიდან „ჩვენი სტუმრები“ (15 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები და რეკლამა, 18.20 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „იყო და არა იყო რა“, 2. „კეთილი გული“ (მოკლემეტრაჟიანი ფილმი), 19.05 — მუსიკალური გადაცემა „ორლანი“ (1 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — მხატვრული ფილმი „ქვის სტუმარი“, 21.30 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ტელეპანორამა, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.25 — კინონარკვევი, 23.40 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ლედი გვინდოლინეს თავგადასავალი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზია პროგრამა (მეცხრე არხით) 11-დან 00 წ. და 20 წუთამდე.

რა ვნახოთ, რა ვიყიდოთ

„საქართველოს აგიტატორი“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „**საქართველოს აგიტატორის**“ მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება **მოწინავე სტატიით** — ავამაღლოთ პოლიტიკური ინფორმაციის როლი მასების კომუნისტურ აღზრდაში. აქვეა გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი — დროის მოთხოვნა. ჟურნალში დაბეჭდილია: **ი. ხოხაძე** — მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები; **პ. შალამბერიძე** — ჩვენი განყოფილების მუშაობის გამოცდილებიდან; **ი. ლელაშვილი** — სოციალისტური შეჯიბრება ძალას იკრებს; **მ. ჯეიშიანი** — პოლიტინფორმატორის სწავლება და ინფორმირება; **გ. ჩახაია** — როგორ ვმუშაობთ პოლიტინფორმატორებთან; **ო. ჭიბინავა** — პოლიტიკური ინფორმაციის როლი ახალგაზრდობის აღზრდაში; **ი. ჭორთუა** — პოლიტიკური ინფორმაცია და პრესა; **ს. ფეიკუა** — პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში; **დ. კუტალია** — ვიყენებთ თვალსაჩინოებას; შრომისა და წარმატებათა წლები; ჩვენ შენთან ვართ, ვიეტნამო!; დიადი გარდაქმნები; **გ. მასხარაშვილი** — ზემო სვანეთის ხელოვნება.

უკეთ რომ მოეწყოს ყოფაცხოვრება

□ **თბილისი.** (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. აქ არის ტანსაცმლის სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები, ლითონის ნაკეთობათა სარემონტო საამქრო, საპარიკმახეროები, სამრეცხაო, აბანო.

ვაიხსნა აგრეთვე ელექტროხელსაწყოების შემკეთებელი საამქრო, სამხატვრო-სარეკლამო სახელოსნო, გასაქირავებელი პუნქტი. მოსახლეობის დაკვეთით მუშაობს საშენი ბლოკების დამამზადებელი საამქრო მდინარე ძევრულაზე სოფელ ეწერში და სადურგლო სახელოსნო — სოფელ ბარდუბანში. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები შენდება სოფელ ბარდუბანსა და ზედა საზანოშიც.

□ **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). დაბა ორჯონიკიძეში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, რომელსაც აქვს რადიომიმღებებისა და ტელევიზორების, საათების შემკეთებელი სახელოსნოები, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ქუდების სამკერვალო საამქროები, საპარიკმახერო, ქალთა სალონები, ფოტოატელიე.

6 აყოფიერად მუშაობს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. „ეგი კარგა ხანია გახდა სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი და უნარიანად წარმართავს რესპუბლიკის კურორტოლოგიის ორგანიზაციულ-მეცნიერულ მუშაობას.

სურათზე: თბილისი. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ხედი.

ფოტო ბ. აბრამიშვილისა.



ქართველი მუენებლები ეგვიპტეში

თბილისიდან კაიროში (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა) გაემგზავრა სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „უნერგოკესლპროექტის“ საქართველოს განყოფილების მთავარი სპეციალისტი რ. კოკოშაშვილი. იგი უხელმძღვანელებს საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არაბ მეგობრებს გაუზიარებს მაღალი ძაბვის მძლავრი ელექტროგადამცემი მაგისტრალური ხაზების გაანგარიშებისა და დაპროექტების გამოცდილებას. ასეთი ხაზების აგება განზრახულია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

მდინარე ნილოსზე საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება ასუანის მძლავრი ჰიდროკვანძი. იგი გამოიმუშავებს დიდძალ ელექტროენერგიას. ელექტროგადამცემი ხაზების საბჭოთა დამპროექტებლების დახმარება ხელს შეუწყობს სპეციალისტების მაღალკვალიფიციური კადრების შექმნას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

სპეციალისტებმა ლ. ოსიპოვისა და რ. კოკოშაშვილის ხელმძღვანელობით შეძლეს ტიპობრივ პროექტში შეეთავსებინათ ყოველივე საუკეთესო, რასაც საბჭოთა ინჟინრებმა მიაღწიეს მაღალმთიან რაიონებში ელექტროგადამცემი ხაზების დაპროექტების დარგში. ამ გამოცდილებას ქართველი სპეციალისტები გადასცემენ მეგობრებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. (საქდესი).

ნახევარფინალური ტურნირები

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს ქალთა და ვაჟთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატების ნახევარფინალური ტურნირები.

ბაკინში ლიდერობას კვლავ საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი **გურგენიძე** ინარჩუნებს, რომელსაც 9 ტურის შემდეგ 6,5 ქულა აქვს. მეცხრე ტურში მან დაამარცხა **კიარერი**. მეორე ადგილზეა **ბორისენკო**. მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფენ **ვაგანიანი, კლოვანი** და **ეტრუაჯ**. თვითეულ მათგანს 5,5 ქულა აქვს.

ლენინგრადის ჩემპიონატს გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ სამი ლიდერი პყავს. ესენი არიან ნისონი, ფაიბისოვიჩი და ბიკოვი.

რსფსრ-ის პირველობაზე ადრინდებულად სატურნირო ცხრილის სათავეში დგას გროსმაისტერი **ზაიცევი**, რომელსაც რვიდან 6 ქულა აქვს.

ქალთა საჭადრაკო პირველობის ლენინგრადში სათავეში უდგანან **რუდენკო** და **ბაჭინა**. თვითეულ მათგანს 8 შესაძლებლიდან 6 ქულა აქვს.

ვილნიუსის ნახევარფინალში მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოსტატის **როტარესა** და **რუდენკოს** ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, დაწინაურდა **ბოიჭარიანი**, რომელსაც შვიდიდან 6 ქულა აქვს.

ტიუმენის ნახევარფინალში ჯერ-ჯერობით წინ არის შესლიდოვა — 5,5 ქულა შვიდიდან.



პირველი 14-სართულიანი

ჰიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის საბადოს დამუშავებას ცხრა ათეული წელი უსრულდება. წინათ ამ ქალაქში ორ-ორსართულიანი პატარა სახლები იყო მხოლოდ. ომისშემდგომ წლებში წამოიმართა აქ ოთხ-ხუთსართულიანი საცხოვრებელი შენობები.

შარშან ნინოშვილის ქუჩა დაამშვენეს პირველმა ორმა რვასართულიანმა საცხოვრებელმა სახლებმა. ოთხი რვასართულიანი სახლი წელს უნდა დამთავრდეს. და აი აქვე, მდინარე ყვირილის სანაპიროზე საძირკველი ჩაეყარა პირველ 14-სართულიან საცხოვრებელ სახლს. მას აშენებს ჰიათურის მარგანეშენის ტრესტი, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ჰიათურის პირველი 14-სართულიანი სახლის მაკეტს, რომელიც საქალაქო ფოტოორეპორტიორმა ა. მაჭავარიანმა გადაიღო.

ევროპული ბიბლიოთეკა

რევოლუციამ მეზიკოს წინ

ორ თვეზე ნაკლები დარჩა იმ დღემდე, როცა მეზიკოს „აცტეკის“ სტადიონზე ავიგიზდება ზაფხულის მე-19 ოლიმპიურ ახალრეზობათა ჩირაღდანი. დარჩენილი დრო სპორტსმენებს სურთ გამოიყენონ რაც შეიძლება რაციონალურად, საბოლოოდ გამოარკვიონ თავიანთი შესაძლებლობანი.

სწორედ ამას ეძღვნება წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 19-20 აგვისტოს თბილისის ზამთრის საცურავ აუზში, ხოლო 22-23 აგვისტოს ბათუმის „დინამოს“ აუზში გაიმართება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდები. ტურნირში ითამაშებს აგრეთვე საქართველოს ნაკრები, რომლისთვისაც ეს ახალრეზობა კარგი სკოლა იქნება.

ჯერ ვისაუბროთ მთავარ მონაწილეთა შესახებ. ორი გუნდი — სსრ კავშირის ნაკრები და ჰოლანდიის ნაკრები — ევროპის წყალბურთის ელიტას მიეკუთვნება. ამ ბოლო დრომდე ჰოლანდიელები ტონის მიმცემნი იყვნენ, მაგრამ ცოტა ხნის წინათ პირველ პლანზე გამოვიდნენ იუგოსლაველები, იტალიელები და უნგრელები.

ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები მსოფლიო ახალრეზობის ფინალურ ბრძოლებში ერთმანეთს ეცილებიან. ამიტომ მათი გუშინდელი ასპარეზობა ფიბბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. ბრძოლა საინტერესო გამოდგა **და** დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით 1:0. 25-ე წუთზე ბურთი გაიტანა **ხტრელცო